განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

13 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის დოქტორი 0203
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი მ. აბდულ რაუფი უიტენბორგის უნივერსიტეტი, აპელდორნი, ნიდერლანდები
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფ. დავით სიხარულიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქ-ნი სოფიკო გულედანი (სტუდენტი წევრი) დოქტორანტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამას და მისი მიზანია, მოამზადოს მკვლევარი, რომელსაც ექნება სიღრმისეული თეორიული ცოდნა და კვლევის ჩატარებისათვის საჭირო მეთოდოლოგიური უნარ-ჩვევები.სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მკვლევარი, რომელსაც ექნება კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების უნარი. ახალი ცოდნის შექმნასთან ერთად პროგრამის მიზანია, დოქტორანტი დაეუფლოს სწავლების საუკეთესო მეთოდებსა და ცოდნის გადაცემის უნარ-ჩვევებს. პროგრამა, ასევე, მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთა მომზადებას, რომლებიც დაიცავენ აკადემიური კითელსინდისიერების პრინციპებს და შეეძლებათ ინტეგრირება საერთაშორისო დონეზე აკადემიური საზოგადოების სხვადასხვა დარგში.მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამა შედგება 180 ECTS კრედიტისაგან და მისი ხანგრძლივობა 3 წელია.პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს მენეჯმენტის დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ამ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტი კავკასიის უნივერსიტეტში განახორციელა სამშაბათს, 2018 წლის 13 ნოემბერს მის ძირითად კამპუსში, რომელიც თბილისის გულში მდებარეობს.ვიზიტამდე, 12 ნოემბერს ექსპერტთა ჯგუფს (აბდულ რაუფს, დავით სიხარულიძეს, სოფიკო გულედანს) თვითშეფასების ანგარიშის განსახილველად და კითხვების მოსამზადებლად ჰქონდათ შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა ყველა მნიშვნელოვანი და აუცილებელი კითხვა, რომლებიც უნდა დაესვათ ინტერვიუებისას და დახმარებოდა მათ აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენაში.აუცილებელი ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტები მომზადებული იყო სადოქტორო სკოლის მიერ და ვიზიტამდე მიეწოდა ჯგუფს შესასწავლად.ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის აღწერის დოკუმენტი, თანდართული დეტალური სილაბუსებით, დოკუმენტები უნივერსიტეტის მომსახურებების, აკადემიური რეგულირებების შესახებ, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფაზე, უნივერსიტეტის წესდება, სადოქტორო სკოლის დებულება და სხვ. ხელშკრულებები საერთაშორისო პარტნიორებთან, პერსონალის პირადი საქმეები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია, ასევე, მიეწოდა ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად.

13 ნოემბერს ესქპერტთა ჯგუფმა მუშაობა დაიწყო დილის 9:00 საათიდან.დღის წესრიგის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშფასების გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სადოქტორო სკოლის დოქტორანტებთან და სავარაუდო დამსაქმებლების წარმომადგენლებთან. ასევე, მონახულებულ იქნა ინსტიტუციის ობიექტები ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები, ოფისები და სხვ. ადგილზე ვიზიტი განხორციელდა გეგმისა და შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ყველა მონაწილე მზად იყო თანამშრომლობისა და დისკუსიებში ღიად და გულახდილად მონაწილეობისათვის.ვიზიტის პერიოდში ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მოწოდების თაობაზე დაკმაყოფილდა პროფესიულად და ეფექტიანად.

აკრედიტაციის ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული.ექსპერტთა ჯგუფისათვის შექმნილი პირობები შეესაბამებოდა სამუშაოს და იძლეოდა შეფასების პროცესის ნორმალურ ვითარებაში წარმართვის შესაძლებლობას.ვიზიტი იყო ნაყოფიერი და მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჯგუფის მიერ პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელი ცოდნის გაღრმავებაში.ექსპერტთა ჯგუფს სურს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველა მონაწილეს მასპინძლობისა და თანამშრომლობისათვის და ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობის მიღებისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სადოქტორო პროგრამის შეფასების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტებთან.პროგრამა შესაბამისობაშია 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

2.1 სტანდარტის თაობაზე პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ, ექსპერტთა ჯგუფი სთავაზობს შემდეგ რეკომენდაციებს:

გარდა სამოტივაციო წერილისა, განმცხადებლმა დამატებით უნდა მოამზადოს კვლევითი წინადადების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისი კვლევის ინტერესს. თუმცა, შესაძლებელი უნდა იყოს შერჩეული/წარმოდგენილი თემის, თუ პროექტის ნაწილობრივ/სრულად რევიზია და შეცვლა.

განმცხადებელმა, ასევე, უნდა წარმოადგინოს ორი სარეკომენდაციო წერილი, რომელთაგანაც ერთი უნდა იყოს აკადემიური, ხოლო მეორე პროფესიული გამოცდილების (არსებობის შემთხვევაში) თაობაზე კომპანიის ან ორგანიზაციისაგან, რომელშიც ისინი მუშაობდნენ პროგრამის აკადემიური ხასიათის გათვალისწინებით.

მოცემული რეკომენდაციები, რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობისათვის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  თვითშეფასების ანგარიშის თანახმად "პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებს, რადგან პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებლები ჩართულნი იყვნენ მიზნების განსაზღვრაში".ჯგუფი მიიჩნევს, რომ უკეთესია კონკრეტული პერსპექტიული საერთაშორისო დამსაქმებლების მიზნობრივი მონიშვნა და ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტიული დამსაქმებლების ზუსტი კრიტერიუმის მოძიება, რათა ამ პროგრამის საფუძველზე უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი/განვითარებული აუცილებელი და რელევანტური კომპეტენციები და უნარები. კურიკულუმში მოწოდებული კურსების შინაარსისა და ინფორმაციის გათვალისწინებით, ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის სილაბუსებსა და სწავლებაში ნაკლები ყურადღება ეთმობა მონაცემთა ხარისხობრივ

ანალიზს.სადოქტორო პროგრამის გათვალისწინებით უფრო მკაფიო აქცენტი უნდა გაკეთდეს მონაცემთა ხარისხობროვო ანალიზის უნარების განვითარებაზე.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწავლის შედეგების შეფასება უნდა იქნეს სტრუქტურირებული, რათა აკრედიტაციის შემდეგი ციკლისათვის მომზადდეს სამომავლო განვითარებების ნუსხა.შეფასებას, რომელიც ჩატარდება ყოველწლიურად (სადოქტორო დისერტაციის დაცვის განმავლობაში) იმის დასადგენად თუ რამდენადაა მოცული სწავლის შედეგები და რისი გაკეთება შეიძლება პროგრამის გასაუმჯობესებლად, შეეძლება შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი პროგრამის შემდგომ განვითარებაში.

ცოდნის გამოყენების მეორე სწავლის შედეგის შესახებ - "კურსდამთავრებულს შეეძლება მენეჯმენტის ქვე-დარგში თანამედროვე და ინოვაციური კვლევის დაგეგმვა, განხორციელება და ხელმძღვანელობა დამოუკიდებლად, ასევე, ახალი ცოდნის შექმნა ორგანიზაციული ქცევის, ორგანიზაციული თეორიისა ან ლიდერობის სფეროებში".უდაოდ კარგია განსაკუთრებული ცოდნის ფლობა, მაგრამ ეს სწავლის შედეგი არ უნდა იყოს შემოფარგლული მენეჯმენტის მხოლოდ ამ ქვე-თემებით, არამედ სადოქტორო პროგრამის მომავალი კურსდამთავრებულის ფართო მასშტაბის გათვალისწინებით უნდა ვრცელდებოდეს აგრეთვე მენეჯმენტთან დაკავშირებულ სხვა დარგებზეც.მიუხედავად ამისა, ადგილზე ვიზიტისას პროგრამის მენეჯმენტმა ხაზი გაუსვა, რომ არჩევენ სწავლის შედეგების უფრო კონკრეტული და სპეციალიზებული ფორმით შენარჩუნებას.

ცოდნის გამოყენების მესამე სწავლის შედეგის შესახებ - "კურსდამთავრებულს შეეძლება ახალი, კომპლექსური და საკამათო იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება კვლევამდე და კვლევის პროცესში; მას, ასევე, ექნება გაუთვალისწინებელ გარემოებებში ეფექტიანი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი".ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს სწავლის შედეგი მოითხოვს გადახედვას/ფორმულირების შეცვლას სწავლის შედეგის ზუსტად აღწერისათვის, რადგან "საკამათო"-ს აქვს უარყოფითი მნიშვნელობაც და შესაძლოა წინააღმდეგობრივიც კარგად ემსახურებოდეს მიზანს.გარდა ამისა, ძნელია ეფექტიანი გადაწყვეტილებისა და გაუთვალისწინებელი გარემოებების გაზომვა/შეფასება.ეს ძალიან ფართო და ბუნდოვანია და მოითხოვს უფრო ზუსტ და კონკრეტულ განმარტებებს.

ცოდნის გამოყენების მეექვსე სწავლის შედეგის შესახებ - "კურსდამთავრებულს შეეძლება თავისი ცოდნის დაშენება უახლეს გარღვევებზე და ახალი მოსაზრებებისა და იდეების თავისით შემუშავება".ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ეს სწავლის შედეგი საჭიროებს გადახედვას/ფორმულირების შეცვლას სწავლის შედეგის ზუსტად აღწერისათვის, რადგან ბუნდოვანია, თუ არ იქნა განსაზღვრული თუ რა ტიპის ახალ მოსაზრებებში/იდეებში "გარღვევებია" ნაგულისხმევი.

სადოქტორო დისერტაციის დასრულებამდე დოქტორანტს მოეთხოვება სადისერტაციო თემის რელევანტურ აკადემიურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (საკონფერენციო ნაშრომის თავად წარმოდგენა).ეს საჭიროებს მკაფიო სტრუქტურასა და დახმარებას, განსაკუთრებით საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობისათვის.ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა გამოარკვია, რომ კავკასიის უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის არც ერთ მოქმედ დოქტორანტს არ

მიუღია მონაწილეობა ეროვნულ/საერთაშორისო კონფერენციებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მესამე წლის დოქტორანტები არიან.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს, რომ სადოქტორო სკოლამ მოაწყოს მოგზაურობა სადოქტორო სემინარში/ვორქშოპში მონაწილეობისათვის საქართველოში და/ან საზღვარგარეთ, ფორმალურ/არაფორმალურ საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თაოსნობით განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში დოქტორანტთა მონაწილეობის თაობაზე სტატისტიკური მონაცემები უნდა იქნეს აღრიცხული, რათა გაიზომოს ამ კუთხით პროგრესი შემდგომი ანალიზისა და გამოყენებისათვის.იგივე უნდა გაკეთდეს დოქტორანტთა სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციებისათვის, მათ შორის თანაავტორობაზეც.

კეთილგონიერი იქნებოდა დოქტორანტთა ყოველწლიური შეფასების სისტემის დაწესება, რომელიც სპეციალურად იქნებოდა გამოყენებული კვლევით საქმიანობაში მათ სუსტ შესრულებაზე ყურადღების მისაპყრობად ან წინასწარი შეფასებით შესაძლო უარყოფით შედეგზე მათი გაფრთხილების მიზნით და ეს უნდა ეცნობოს პირადად ან წერილობით.საბოლოო შედეგის ხარისხისათვის ეს შეიძლება ჩაითვალოს საყურადღებოდ.

შეთავაზებულია, რომ დოქტორანტების მიერ ნებისმიერი უარყოფითი შედეგისა ან სადოქტორო დისერტაციის დაცვაში წარუმატებლობის შემთხვევაში, დავის თავიდან აცილების მიზნით გამოყენებულ იქნეს გასაჩივრების სისტემა.

აკადემიური ხელმძღვანელები უნდა აწყობდნენ სავალდებულო შეხვედრებს ყოველი სემესტრის დასაწყისში, რომელზეც ყველა სტუდენტი წარმოადგენს საკუთარ გეგმას სემესტრისათვის.ეს დაეხმარება სტუდენტებს საუკეთესო შედეგის მიღწევაში სისტემატური გზით.

ექსპერტთა ჯგუფი სთავაზობს, რომ კავკასიის უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტთა მომსახურება ფსიქოლოგით, იმ შემთხვევაში თუ ეს დასჭირდება რომელიმე დოქტორანტს.ამის გაკეთება შესაძლებელია კონტრაქტის გაფორმებით ქალაქში მომუშავე ექსპერტ-ფსიქოლოგთან, მისი გამოძახებით საჭიროების შემთხვევაში, შტატში ჩასმის გარეშე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი ხარჯები.

სტუდენტები საჭიროებენ მეტ ინფორმაციას ნაშრომების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა იქნენ გამოქვეყნებულნი ეროვნულ და/ან საერთაშორისო ჟურნალებში.ასევე, გაურკვევლია არსებობს თუ არა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ვალდებულება, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული.მე-3 წლის დოქტორანტებთან ინტერვიუების თანახმად, გაირკვა, რომ ისინი არ არიან გარკვეულნი კონფერენციაში მონაწილეობის საკითხში.

სტუდენტები საჭიროებენ მეტ მონაწილეობას საერთაშორისო პროგრამებში.კავკასიის უნივერსიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, რაც საშუალებას აძლევს მის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ღონისძიებებსა და სხვა სახის ფორმატებში. უკეთესი იქნებოდა სტრუქტურირებული მიდგომა ამ საკითხისადმი, რათა ეფექტიანად შეეწყოს ხელი სტუდენტებს.

სწავლის პირველი წლის განმავლობაში სრული დატვირთვით სწავლის გამო დოქტორანტებს უმჯობესია მუშაობდნენ მხოლოდ ნახევარ განაკვეთზე, ან საერთოდ არ მუშაობდნენ.ისინი ძირითად დროს უნდა ატარებდნენ სწავლაში, რაც მოითხოვს სრული დატვირთვის ვალდებულებას.

სასურველია, რომ სადოქტორო პროგრამის სირთულისა და რესურსების მოთხოვნის გათვალისწინებით, მათ ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა სხვა ონ-ლაინ მონაცემთა ბაზებზე.სასურველია, რომ ამ მიზნით გაფართოვდეს თანამშრომლობა სხვა ინსტიტუციებთან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

სასურველი იქნებოდა, რომ უნივერსიტეტს შეემუშავებია სათადარიგო გეგმა იმ შემთხვევისათვის თუ გაჭირდა აკადემიური წლის შევსება მინიმალური რაოდენობის კვალიფიციური კანდიდატებით.

არ არსებობს მკაფიო სისტემა ან სტრუქტურა კვლევის დაფინანსების წინადადების შემუშავებისა და წარდგენისათვის ეროვნულ და/ან საერთაშორისო კვლევების დაფინანსების სააგენტოებში.

სასურველი იქნებოდა იდუსტრიასთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება მენეჯმენტის სფეროში ინდუსტრიის თაოსნობით მიმდინარე კვლევითი პროექტებისათვის ამ დოქტორანტთა ნაწილობრივ ან სრულად დასაფინანსებლად.

სასურველია, რომ შემუშავდეს სადოქტორო პროგრამის ხარისხის შეფასების სისტემა, განსაკუთრებით სასწავლო ნაწილის მიწოდებისა და სადისერტაციო ნაშრომისა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს არა მხოლოდ დიდი გამოცდილება სტუდენტებისათვის, არამედ წარდგენილი დისერტაციების მაღალი ხარისხი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და ჰორიზონტალური/ვერტიკალური კავშირი, მათ შორის სასწავლო დატვირთვა, სწავლის პროგრესი, შეფასების სახეები და მიწოდების დინამიური მეთოდები - შესაძლოა გახდეს საუკეთესო პრაქტიკა(ები).

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის მიზნებია მკვლევართა მომზადება, რომლებსაც ექნებათ ორგანიზაციული ქცევის, ორგანიზაციული თეორიისა და ლიდერობის სფეროში კვლევების განხორციელებისათვის საჭირო სიღრმისეული თეორიული ცოდნა და მეთოდოლოგიური უნარები. სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მკვლევარი, რომელსაც ექნება კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების უნარი. ახალი ცოდნის შექმნასთან ერთად პროგრამის მიზანია, დოქტორანტი დაეუფლოს სწავლების საუკეთესო მეთოდებსა და ცოდნის გადაცემის უნარ-ჩვევებს.პროგრამა, ასევე, მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთა მომზადებას, რომლებიც დაიცავენ აკადემიური კითელსინდისიერების პრინციპებს და შეეძლებათ ინტეგრირება საერთაშორისო დონეზე აკადემიური საზოგადოების სხვადასხვა დარგში. კავკასიის სადოქტორო სკოლის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიას, რომელიც მოიცავს კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებასა და სწავლას, კონკურენტუნარიანი, მაღალ-კვალიფიციური, მორალურად დასრულებულ სპეციალისტების მომზადებას, ერთგულს დემოკრატიული ღირებულებებისადმი, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზრებზე და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტების მომზადებით საზოგადოების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროგრამის მიზნები გამოიყურება რეალიოსტურად და მიღწევადად.პროგრამის მიზნები ითვალისწინებენ ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებს.ბაზრის კვლევა და პერსპექტიულ დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა აჩვენა ამ სფეროს კვალიფიციურ კურსდამთავრებულთა საჭიროება, რაც მკაფიოდ გამოვლინდა ადგილზე ვიზიტისას პერსპექტიულ დამსაქმებლებთან დისკუსიების მსვლელობაში.თუმცა, პერსპექტიული დამსაქმებლები არ აღმოჩნდნენ დარწმულებულნი პროფესიულ სფეროში საჭირო კონკრეტული კომპეტენციების, უნარებისა და სამუშაო ადგილების თაობაზე.თუმცა, ქართული განათლებისათვის აკადემიური პერსინალის საჭიროება აშკარაა. პროგრამის მიზნები ნათელია, რეალისტური და მიღწევადი და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კომპლექტს, რომელსაც პროგრამა მიზნად ისახავს რომგანავითაროს სტუდენტებში.ისინი ახდენენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში

შეტანილი წვლილის ილუსტრირებას და როგორც ჩანს შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას და მისი სადოქტორო სკოლის მიმართულებას განათლებასა და კვლევაში.ისინი ითვალისწინებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებს, მათ შორის მეცნიერების/დარგის განვითარების საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კავკასიის უნივერსიტეტის წესდება; ○ კავკასიის სადოქტორო სკოლის დებულება; ○ მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი; ○ მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის სილაბუსები; ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ თვითშეფასების ანგარიშის თანახმად "პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებს, რადგან პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებლები ჩართულნი იყვნენ მიზნების განსაზღვრაში".ჯგუფი მიიჩნევს, რომ უკეთესია კონკრეტული პერსპექტიული საერთაშორისო დამსაქმებლების მიზნობრივი მონიშვნა და ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტიული დამსაქმებლების ზუსტი კრიტერიუმის მოძიება, რათა ამ პროგრამის საფუძველზე უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი/განვითარებული აუცილებელი და რელევანტური კომპეტენციები და უნარები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის სადოქტორო სკოლას განსაზღვრული აქვს პროგრამის შემდეგი შვიდი კონკრეტული სწავლის შედეგი, რომლებსაც უნდა მიაღწიონ დოქტორანტურის კურსდამთავრებულებმა:

1. კურსდამთავრებული დაეუფლება სიღრმისეულ ცოდნას, მათ შორის აუხლესი სამეცნიერო გარღვევების ცოდნას, მენეჯმენტის შემდეგ სფეროებში:ორგანიზაციულ ქცევაში, ორგანიზაციულ თეორიაში ან ლიდერობაში.კურსდამთავრებული, ასევე, შეიძენს რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდების ცოდნას, რაც მას მისცემს მენეჯმენტის დარგში ზეგავლენის მქონე კვლევითი პუბლიკაციების განხორციელების საშუალებას.
2. კურსდამთავრებულ შეეძლება მენეჯმენტის ქვე-დარგებში დამოუკიდებლად დაგეგმოს, განახორციელოს და უხელმძღვანელოს თანამედროვე და ინოვაციურ კვლევას და შექმნას ახალი ცოდნა ორგანიზაციული ქცევის, ორგანიზაციული თეორიის ან ლიდერობის სფეროებში..
3. კურსდამთავრებულს შეეძლება ახალი, კომპლექსური და საკამათო იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება კვლევამდე და კვლევის პროცესში; მას, ასევე, ექნება გაუთვალისწინებელ გარემოებებში ეფექტიანი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი.
4. კურსდამთავრებულს შეეძლება სხვადსხვა დროით ზონებსა და ადგილებში მოქმედ კვლევით ჯგუფებში წარმატებული მონაწილეობა, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
5. კურსდამთავრებულს შეეძლება არსებული ცოდნის, ახალი კვლევის შედეგებისა და საერთაშორისო პარადიგმების თაობაზე თემატურ დებატებში ჩართვა.
6. კურსდამთავრებულს შეეძლება თავისი ცოდნის დაშენება უახლეს გარღვევებზე და ახალი მოსაზრებებისა და იდეების თავისით შემუშავება.
7. კურსდამთავრებულს შეეძლება აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების ანალიზი, კვლევა და განხორციელება.

პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ და გასაგები ფორმითაა წარმოდგენილი მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით სფეროსთან კავშირში.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი ცხრილები და კურიკულუმის რუკები, რომლებშიც პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან და ასევე, განიხილა

კავშირი პროგრამის საბოლოო მიზნებთან.დისკუსიებიდან მენეჯმენტთან, თვითშეფასების ანგარიშის შემმუშავებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ლექტორებთან და სტუდენტებთან და კურსების მასალების შესწავლიდან, ჯგუფმა დაასკვნა, რომ ზოგადად, სწავლის შედეგები შეესაბამება სფეროს სპეციფიურ კომპეტენციებს და დუბლინის აღმწერებს.მიუხედავად ამისა, სადოქტორო პროგრამის ყველა შვიდი სწავლის შედეგი არაა ზუსტი და კონკრეტული შედეგზე ორიენტირების კუთხით, მაგრამ ჯგუფი ასკვნის, რომ პროგრამის აღწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება აკადემიურ მოთხოვნებსა და კვალიფიკაციის საჭირო დონეს, რომელიც მიენიჭება პროგრამის დასრულებისას და განხორციელდება მენეჯმენტის/ლიდერობის სფეროში.
პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ფოკუსირდება ყოვლისმომცველ ცოდნაზე, უნარებსა და/ან პასუხისმგებლობის გრძნობასა და ავტონომიურობაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის შინაარსით.ისინი გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია და შეესაბამება განათლების დონეს ეროვნილი კვალიფიკაციების ჩარჩოს თანახმად და მისანიჭებელი კვალიფიკაციით - დუბლინის აღმწერებს.პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა ეროვნილი კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგის მიზნობრივ ნიშნულებს.ეს სწავლის შედეგები, როგორც ჩანს, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს, დარგის მახასიათებლებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.ეს სწავლის შედეგები შემუშავებულია შესაბამისი პროგრამის დიდი ოდენობით დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვ.).პროგრამის ხელმძღვანელი და გუნდი დარწმუნებულია, რომ პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარე იცნობს პროგრამის სწავლის შედეგებს.
წარმოდგენილი დოკუმენტებისა და თვითშეფასებია ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სწავლის შედეგების შესაფასებლად შემუშავებულია ეფექტური სისტემა, რომელიც აფასებს სწავლის შედეგებს პირდაპირ და არაპირდაპირ.თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტებს მიაწვდიან ინფორმაციას თუ რა დონეზე აქვთ მიღწეული თითოეული სწავლის შედეგი, იმ მიზნით, რომ მათ იცოდნენ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები და მიეცეთ მიმართულება შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს მეტად გამოსადეგი ინსტრუმენტია, თუკი გამოიყენება ეფექტურად, თუმცა ამ სწავლის შედეგის ფართო და სუბიექტური ბუნების გათვალისწინებით, შესაძლოა არ იყოს ადვილი მისი ობიექტური და მუდმივი გამოყენება სხვადასხვა წლის კურსდამთავრებულების მიმართ. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შედეგების შედარების მიზნით შემუშავებული სწავლის შედეგების მიზნობრივი ნიშნულები შესაძლოა სასარგებლო იყოს ამ პროგრამის ეფექტურად წარმართვისთვის არა მარტო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, არამედ პროგრამის მიზნების მისაღწევადაც.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ რეგულარულ საფუძველზე, რათა უზრუნველყოს კურსდამთავრებულის მიერ აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევა.სწავლის შედეგების შეფასების სისტემა გაითვალისწინებს დარგის თავისებურებებს, რადგან გამოყენებული იქნება შესაბამისი შეფასების ფორმები და მეთოდები, რაც შესაძლებელს გახდის სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის განსაზღვრას.მიუხედავად ამისა, ჯგუფმა ვერ შეძლო რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მოძიება პროგრამის პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, სტუდენტის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების, შეფასებისა და ანალიზის კუთხით. ნათელია, რომ სტუდენტები იღებენ გამოხმაურებას იმის თაობაზე თუ რა დონეზე აქვთ მათ მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგები.თუმცა, არაა განსაზღვრული, თუ რა ზომები იქნება მიღებული რაიმე ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის სადოქტორო სკოლის დებულება;
- მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი;
- მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნები:
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ პროგრამის დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე პროგრამის სწავლის შედეგების დაწესებაში;
- ვებ-საიტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწავლის შედეგების შეფასება უნდა იქნეს სტრუქტურირებული, რათა აკრედიტაციის შემდეგი ციკლისათვის მომზადდეს სამომავლო განვითარებების ნუსხა.შეფასებას, რომელიც ჩატარდება ყოველწლიურად (სადოქტორო დისერტაციის დაცვის განმავლობაში) იმის დასადგენად თუ რამდენადაა მოცული სწავლის შედეგები და რისი გაკეთება შეიძლება პროგრამის გასაუმჯობესებლად, შეეძლება შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი პროგრამის შემდგომ განვითარებაში.
- ცოდნის გამოყენების მეორე სწავლის შედეგის შესახებ - "კურსდამთავრებულს შეეძლება მენეჯმენტის ქვე-დარგში თანამედროვე და ინოვაციური კვლევის დაგეგმვა, განხორციელება და ხელმძღვანელობა დამოუკიდებლად, ასევე, ახალი ცოდნის შექმნა ორგანიზაციული ქცევის, ორგანიზაციული თეორიისა ან ლიდერობის სფეროებში".უდაოდ კარგია განსაკუთრებული ცოდნის ფლობა, მაგრამ ეს სწავლის შედეგი არ უნდა იყოს შემოფარგლული მენეჯმენტის მხოლოდ ამ ქვე-თემებით, არამედ სადოქტორო პროგრამის მომავალი კურსდამთავრებულის ფართო მასშტაბის გათვალისწინებით უნდა ვრცელდებოდეს აგრეთვე მენეჯმენტთან დაკავშირებულ სხვა დარგებზეც.მიუხედავად ამისა, ადგილზე ვიზიტისას პროგრამის მენეჯმენტმა ხაზი გაუსვა, რომ არჩევენ სწავლის შედეგების უფრო კონკრეტული და სპეციალიზებული ფორმით შენარჩუნებას.
- ცოდნის გამოყენების მესამე სწავლის შედეგის შესახებ - "კურსდამთავრებულს შეეძლება ახალი, კომპლექსური და საკამათო იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება კვლევამდე და კვლევის პროცესში; მას, ასევე, ექნება გაუთვალისწინებელ გარემოებებში ეფექტიანი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი".ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს სწავლის შედეგი მოითხოვს

გადახედვას/ფორმულირების შეცვლას სწავლის შედეგის ზუსტად აღწერისათვის, რადგან "საკამათო"-ს აქვს უარყოფითი მნიშვნელობაც და შესაძლოა წინააღმდეგობრივიც კარგად ემსახურებოდეს მიზანს.გარდა ამისა, ძნელია ეფექტიანი გადაწყვეტილებისა და გაუთვალისწინებელი გარემოებების გაზომვა/შეფასება.ეს ძალიან ფართო და ბუნდოვანია და მოითხოვს უფრო ზუსტ და კონკრეტულ განმარტებებს. ○ ცოდნის გამოყენების მეექვსე სწავლის შედეგის შესახებ - "კურსდამთავრებულს შეეძლებათავისი ცოდნის დაშენება უახლეს გარღვევებზე და ახალი მოსაზრებებისა და იდეების თავად შემუშავება".ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ეს სწავლის შედეგი საჭიროებს გადახედვას/ფორმულირების შეცვლას სწავლის შედეგის ზუსტად აღწერისათვის, რადგან ბუნდოვანია, თუ არ იქნა განსაზღვრული თუ რა ტიპის ახალ მოსაზრებებში/იდეებში "გარღვევებია" ნაგულისხმევი. ○ თვითშეფასების ანგარიშის და თვითშეფასების გუნდთან დისკუსიის თანახმად მითითებული გაუმჯობესება მოითხოვს უფრო კონკრეტულ გააზრებას, ვიდრე ▪ ახალი გუნდის შექმნას; ▪ საუკეთესო გამოცდილების შემუშავებას". ▪ გაუმჯობესების ეს სფეროები ბუნდოვანია, გაუგებარია რომელ გუნდზეა(ებზე) საუბარი.შეიძლება ეს იყოს აკადემიური, მკვლევართა, ხელმძღვანელთა, სასწავლო თუ ადმინისტრაციული გუნდი, თუ ყველა ერთად?ასევე, გაუგებარია თუ რას ნიშნავს "საუკეთესო გამოცდილების შემუშავება".
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის მიხედვით პროგრამაზე მიღების მოთხოვნები შემდეგია: 1. მაგისტრის ხარისხი ან ეკვივალენტი.აპლიკანტი ხარისხი მინიჭებული უნდა ჰქონდეს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით. 2. ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამით მიღებული აკადემიური ხარისხი; იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტს არ გააჩნია ამგვარი დოკუმენტები, მან უნდა ჩააბაროს კავკასიის სადოქტორო სკოლის მისაღები გამოცდა ინგლისურ ენაში B2 დონეზე; 3. გამსვლელი ქულა კავკასიის სადოქტორო სკოლის მათემატიკის ტესტში; 4. სამოტივაციო წერილი ინგლისურად, აპლიკანტის კვლევითი ინტერესების მითითებით; 5. ორი სარეკომენდაციო წერილი კავკასიის სადოქტორო სკოლის მიმღები კომიტეტის სახელზე (ინგლისურ ენაზე); 6. წარმატებული გასაუბრება კავკასიის სადოქტორო სკოლის მიმღები კომიტეტთან. მიღების მოთხოვნები ასახავს ძირითადად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სადოქტორო პროგრამაზე მიღების მოთხოვნებს.მაგალითად, მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ არაა განმარტებული - ვის მიერ მინიჭებული - ეროვნული თუ საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ?ადგილზე ვიზიტისას, ასევე, გაუგებარი დარჩა საკმარისია თუ არა მაგისტრის ხარისხი თუნდაც აღმასრულებელ

განათლებაში, ან ხელოვნების მაგისტრისა (MA) ყოველგვარი აქცენტის გარეშე სამეცნიერო კვლევაზე, თუ აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მეცნიერების მაგისტრის ხარისხი (MSc) ან ფილოსოფიის მაგისტრის (MPhil) ხარისხი შესაბამის სფეროში?მართალია, საქართველოში აღიარებულია ხელოვნების მაგისტრის (MA) მხოლოდ ერთი ტიპი, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ამის დაზუსტება, განსაკუთრებით საერთაშორისო აპლიკანტებისათვის.აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელიც მიუთითებს მის კვლევით ინტერესებს და ორი სარეკომენდაციო წერილი.თუმცა, არაა დაკონკრეტებული რაიმე დეტალი ამ ორი სარეკომენდაციო წერილის შესახებ, თუ რას უნდა ეხებოდენ ისინი - აკადემიურ თუ პროფესიულ გამოცდილებას, ან საიდან უნდა იყოს ისინი - კომპანიიდან თუ ორგანიზაციიდან, რომელშიც ისინი მუშაობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მოტივაციის წერილი მოიცავს განმცხადებლის კვლევის ინტერესს, სადოქტორო დისერტაციის სავარაუდო თემაზე კვლევითი წინადადების პროექტი უნდა იყოს დამატებითი მოთხოვნა, არა როგორც სამოტივაციო წერილის ნაწილი, არამედ როგორც მიღების კრიტერიუმების ერთ-ერთი მოთხოვნა. გარდა ამისა, ხდება მათი ინტერვიუირება სადოქტორო სკოლის მიმღები კომიტეტის მიერ განზრახვასთან, მოტივაციასთან და უნარებთან დაკავშირებით.ჩვენ გვჯერა, რომ საზღვარგარეთ სტუდენტებს ესაუბრებიან ტელეფონით/სკაიპით, ხოლო სტუდენტებს საქართველოშიიწვევენ უმაღლეს სასწავლებელში.

ინგლისური ენის ცოდნის დონის მოთხოვნა არ გულისხმობს ინგლისური ენის რომელიმე საერთაშორისო ტესტს იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი ვერ აკმაყოფილებს B2 დონის მოთხოვნებს.ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან აპლიკანტებს პროგრამაზე მიმართვამდე უნდა ჰქონდეთ ჩაბარებული IELTS/TOEFL. აპლიკანტებს, ქვეყნებიდან სადაც ინგლისური ენა ოფიციალური ენაა და რომლებმაც წარმატებით მოიპოვეს უკანასკნელი საგანმანათლებლო კვალიფიკაცია ინსტიტუციიდან, რომლებშიც გაძლიერებული სწავლებაა ინგლისურად, არ ევალებათ ენის სერტიფიკატის წარმოდგენა.ექსპერტთა ჯგუფისათვის გასაგებია, რომ ინგლისური ენის ცოდნის დონე ყოველთვის ყველა აპლიკანტისათვის დასტურდება ინტერვიუს მეშვეობით.

გამსვლელი ქულა მათემატიკაში, ასევე, წარმოადგენს ერთ-ერთ მოთხოვნას, თუმცა არ ხდება წინასწარი შეფასების ჩატარება სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდების ცოდნაზე, განსაკუთრებით ხარისხობრივი და/ან რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის მეთოდებზე. მიუხედავად ამისა, უცნობია ყველა მსურველს, რომელმაც მიმართა სადოქტორო სკოლას ინფორმაციის მოთხოვნით, გაეგზავნა თუ არა ელ-ფოსტით დოკუმენტების პაკეტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მიმართვის პროცედურაზე.გარდა ამისა, თუ როგორ აცნობებენ განმცხადებელს მიღებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას - წერილობით, ელ-ფოსტით, მიზეზების მითითებით და ა.შ.

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები ითვალისწინებენ პროგრამის მახასიათებლებს და უზრუნველყოფენ შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სტუდენტთა მიღებას; პროგრამაზე მიღების მოთხოვნები ლოგიკურად არიან დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან (რამოდენიმე გამონაკლისის გარდა), სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე მიღების მოთხოვნები (კრიტერიუმები და პროცედურები);
- ინფორმაციის საჯაროობა - პროგრამაზე მიღების მოტხოვნების თაობაზე ინფორმაციის გავრცელების მეთოდები;
- ვებ-საიტი;
- სადოქტორო პროგრამებზე მიმღები კომიტეტის შემადგენლობა და ოპერირების წესები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გარდა სამოტივაციო წერილისა, განმცხადებლმა დამატებით უნდა მოამზადოს კვლევითი წინადადების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისი კვლევის ინტერესს. თუმცა, შესაძლებელი უნდა იყოს შერჩეული/წარმოდგენილი თემის, თუ პროექტის ნაწილობრივ/სრულად რევიზია და შეცვლა.

  აპლიკანტს უნდა ევალებოდეს, ასევე, ორი სარეკომენდაციო წერილის წარმოდგენა, რომელთაგან პროგრამის აკადემიური ბუნების გათვალისწინებით ერთი უნდა იყოს აკადემიური, ხოლო მეორე პროფესიული გამოცდილების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი, კომპანიიდან ან ორგანიზაციიდან, რომელშიც იგი მუშაობდა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ არაა განმარტებული - ვის მიერ მინიჭებული - ეროვნული თუ საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ?ადგილზე ვიზიტისას, ასევე, გაუგებარი დარჩა საკმარისია თუ არა მაგისტრის ხარისხი თუნდაც აღმასრულებელ განათლებაში, ან ხელოვნების მაგისტრისა (MA) ყოველგვარი აქცენტის გარეშე სამეცნიერო კვლევაზე, თუ აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მეცნიერების მაგისტრის ხარისხი (MSc) ან ფილოსოფიის მაგისტრის (MPhil) ხარისხი შესაბამის სფეროში?უმჯობესი იქნებოდა ამის დაკონკრეტება, განსაკუთრებით საერთაშორისო აპლიკანტებისათვის.

გამსვლელი ქულა მათემატიკაში, ასევე, წარმოადგენს ერთ-ერთ მოთხოვნას, თუმცა არ ხდება წინასწარი შეფასების ჩატარება სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდების ცოდნაზე, განსაკუთრებით ხარისხობრივი და/ან რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის მეთოდებზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია კავკასიის სადოქტორო სკოლაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია.პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო საბოლოო კვალიფიკაცია, რომელიც მიენიჭება პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ, შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

თვითშეფასების ანგარიშით მოწოდებული ინფორმაციისა და ადგილზე ვიზიტისას განხორციელებული შეხვედრების თანახმად, მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამა შედგება 180 ECTS კრედიტისაგან, პროგრამის 3-წლიანი, მაქსიმუმ 4-წლიანიხანგრძლივობით.სწავლების პროცესი სტრუქტურირებულია სემესტრების გარშემო.ყველა სასწავლო კომპონენტის ხანგრძლივობა ერთი სემესტრია.სემესტრი შედგება კალენდარული კვირებისაგან.თითოეული კვირა შედგება საკონტაქტო საათებისაგან, ისევე როგორც, დამოუკიდებელი მუშაობის საათებისაგან.სემესტრი შეიძლება მოიცავდეს 2 ან 16 კალენდარულ კვირას. კვირების რაოდენობა თითოეული სემესტრისათვის იგეგმება ინდივიდუალურად სტუდენტთა თითოეული კონტინგენტისათვის. 1 ECTS კრედიტი შეესაბამება 25 აკადემიურ საათს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო (ლექცია, სემინარი, გამოცდა, და სხვ), ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტისა (60 ECTS კრედიტი) და კვლევითი კომპონენტისაგან (120 ECTS კრედიტი).პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო სემინარებს და მეთოდოლოგიურ კურსებს (34 ECTS კრედიტი), არჩევით სემინარს (6 ECTS კრედიტი) და სწავლებასა და ასისტირებას (20 ECTS კრედიტი).დოქტორატს შეუძლია აირჩიოს პროგრამის მიერ შემოთავაზებული არჩევითი სემინარებიდან ერთ-ერთი.კვლევითი კომპონენტი შედგება დისერტაციისაგან.დისერტაციამდე დოქტორანტს მოეთხოვება მონაწილეობის მიღება აკადემიურ სამეცნიერო კონფერენციაში (კონფერენციაზე ნაშრომის თავად წარდგენა) დისერტაციის რელევანტურ თემაზე. პროგრამის შინაარსი და კურსები მოიცავს უახლეს მიღწევებს დარგში, რაზეც მეტყველებს თითოეული კურსის სილაბუსი.

პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის თითოეული ინდივიდუალური კურსი) არის თანამიმდევრულად და ლოგიკურად სტრუქტურირებული.პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს უახლესი კვლევების შედეგებსა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს.სადოქტორო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შესაბამისად, უზრუნველყოფენ სტუდენტებს პროგრამის არჩევითი კომპონენტებით.ყველა შესაძლო დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვ.) ეფექტურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის დიზაინში. სტუდენტთა დატვირთვის სტრუქტურაში ძირითადი, არჩევითი კურსებისა და კვლევითი კომპონენტის თანაფარდობა დაბანსებულია.სტრუქტურა, შესაბამისად, ხელს უწყობს სტუდენტის დატვირთვის მიზნების დადგენას და სტუდენტების მიერ პროგრამის მიზნებთან დაკავშირებული უნარების შეძენას..ასევე, პროგრამაში კრედიტების რაოდენობა თანაბრადაა განაწილებული სემესტრების მიხედვით.კრედიტები და დატვირთვის სპეციფიკაცია სათანადოდაა დანერგილი.სადოქტორო სკოლა უზრუნველყოფს კურსების დეტალურ აღწერას, რაც ეხმარება როგორც სტუდენტებს, ისე პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა იმაში, რომ სტრუქტურული მოთხოვნები პროგრამისადმი, დაკავშირებული შეფასება და სტუდენტთა ავადმყოფობის გამო გაცდენილი გამოცდების კომპენსირების ვადები და ფორმა დადგენილია.მართვადი სტუდენტური დატვირთვა უზრუნველყოფილია პროგრამის ფარგლებში შესაბამისი კურიკულუმის დიზაინით და დატვირთვის დამაჯერებელი გაანგარიშებით ქართული და ევროპული სტანდარტების შესაბამისად.ასევე, შეფასებების სიხშირე და რაოდენობა გამოიყურება სათანადოდ, განსაკუთრებით რადგან ისინი გადანაწილებულია სემესტრის განმავლობაში, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს სადოქტორო სკოლას რეგულარული მონიტორინგი გაუწიოს სტუდენტთა კმაყოფილებას შეფასების სახეობით, რადგან როგორცჩანს, ეს მკაცრადაა სტრუქტურირებული და მოითხოვს გარკვეული მოქნილობის შესაძლებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი აშკარად წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის ძლიერ მხარეს და ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია იმაში, რომ სადოქტორო პროგრამებისათვის დამახასიათებელი აუცილებელი მოქნილობა ვერ შეუქმნის რაიმე პრობლემას პროგრამის მკაცრ სტრუქტურას სტუდენტთა კვლევითი უნარებისა და სწავლების პრაქტიკის თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კავკასიის საოქტორო სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინის და შემუშავების მეთოდოლოგია; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა; ○ ვებ-საიტი;

- პროგრამის დიზაინის პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმმენტაცია;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და ჰორიზონტალურ/ვერტიკალური კავშირი, მათ შორის სასწავლო დატვირთვა, სწავლის პროგრესი, შეფასების სახეები და მიწოდების დინამიური მეთოდები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა სწავლის შედეგები თითოეული სავალდებულო კურსისათვის შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.თითოეული კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამისი დონის აღმწერს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში.თითოეული კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა სტუდენტებისათვის) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.ასევე, ლოგიკურია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების თანაფარდობა, ითვალისწინებს კურსის თავისებურებებს, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობას, სწავლის მეთოდებს (ლექცია, სემინარი, კვლევითი მუშაობა და სხვ.) და შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.ხდება თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი შეფასება.

ამ პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა ამ სადოქტორო პროგრამის პირველი სასწავლო წლის კურსების შინაარსი და სწავლების პროგრამა.სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალა ეფუძნება დარგის ძირითად მიღწევებს, ითვალისწინებს უახლეს კვლევებს და უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უმჯობესი იქნებოდა უახლესი რელევანტური ლიტერატურის მუდმივი მოძიება კურსების განახლებისათვის ამ სფეროში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით.გარდა ამისა, კურსების შინაარსზე და კურიკულუმში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ პროგრამის სილაბუსებსა და სწავლებაში ნაკლები აქცენტია გაკეთებული მონაცემთა ხარისხობრივ ანალიზზე.სადოქტორო პროგრამის გათვალისწინებით უფრო მკაფიო აქცენტი უნდა გაკეთდეს მონაცემთა ხარისხობრივი ანალიზის უნარების განვითარებაზე.ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი ინფორმირებულ იქნა, რომ მონაცემთა ხარისხობრივი ანალიზის პროგრამა Nvivo წარმოადგენს ერთ-ერთი კურსის შემადგენელ ნაწილს, თუმცა ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა ამის დასტური წარმოდგენილ დოკუმენტებსა და ინფორმაციაში.დოქტორანტებმა, ასევე, საკუთარი გამოცდილების გაღრმავების მიზნით უნდა ჩაატარონ მინი-სემინარი ან ლექცია სხვა უსდ-ში სტუმარი მეცნიერის სტატუსით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა
- კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;გამოკითხვის შედეგები;

- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კურიკულუმში მოწოდებული კურსების შინაარსისა და ინფორმაციის გათვალისწინებით, ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის სილაბუსებსა და სწავლებაში ნაკლები ყურადღება ეთმობა მონაცემთა ხარისხობრივ ანალიზს.სადოქტორო პროგრამის გათვალისწინებით უფრო მკაფიო აქცენტი უნდა გაკეთდეს მონაცემთა ხარისხობროვო ანალიზის უნარების განვითარებაზე.მეტად სასარგებლო იქნებოდა სტუდენტებისათვის უახლესი ხარისხობრივი უნარებისა და პროგრამების სწავლება, როგორიცაა Nvivo.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის სასწავლო ნაწილის კურსების შესაბამისი სტრუქტურა, შინაარსი და მოდულების აღმწერები;ეფექტიანი განხორციელებისა და მიწოდების გათვალისწინება შეიძლება გახდეს სხვა ინსტიტუტებისთვის მნიშვნელოვანი სამიზნე ნიშნული.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სადოქტორო პროგრამის სწავლებისა და ასისტირების კომპონენტი მიზნად ისახავს სტუდენტისათვის პედაგოგიური და კვლევითი უნარების ცოდნის მიცემა.სწავლება და სისტირება წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს და იგი შედგება სტუდენტის ჩართულობით შემდეგსფეროებში:1) სწავლებაში ასისტირება და 2) სწავლება და/ან კვლევაში ასისტირება.სწავლებისა და ასისტირების კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტისათვის სწავლებისა და კვლევის პრაქტიკული უნარების სწავლება.

დოქტორანტი უნდა მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში დისერტაციის დაცვამდე, მის სადისერტაციო თემაზე (უნდა მოახდინოს ნაშრომის პრეზენტაცია პირადად). ამ კუთხით, ექსპერტთა ჯგუფი ვერ იქნა სრულად დარწმუნებული სტრუქტურირებულ მიდგომაში, რადგან ეს საჭიროებს მკაფიო სტრუქტურასა და დახმარებას, განსაკუთრებით საერთაშორისო კონფერენციების მონაწილეთათვის არა მხოლოდ მონაწილეობის გარანტირებით, არამედ გამოსადეგი ექსპოზიციითა და მსგავსი სფეროების მკვლევარებთან ურთიერთკავშირით. ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სადოქტორო სკოლის არც ერთ აქტიურ სტუდენტს არ მიუღია მონაწილეობა ეროვნულ/საერთაშორისო კონფერენციაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მე-3 წლის დოქტორანტები არიან.პროგრამის მენეჯმენტთან და ამ დოქტორანტებთან დისკუსიებისას ექსპერტთა ჯგუფი ინფორმირებულ იყო, რომ ესაა კავკასიის სადოქტორო სკოლის ყველა სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი მოთხოვნა (ანალოგიურად მენეჯმენტის სადოტორო პროგრამისა).სტუდენტებმა, რომლებიც შეხვდნენ ექსპერტთა ჯგუფს, ვერ შეძლეს ამ თვალსაზრისით რაიმე მკაფიო მიზეზის დასახელება.გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს, რომ სადოქტორო სკოლამ მოაწყოს მოგზაურობა სადოქტორო სემინარში/ვორქშოპში მონაწილეობისათვის საქართველოში და/ან საზღვარგარეთ, ფორმალურ/არაფორმალურ საფუძველზე.

